EAST-WEST UNIVERSITY
Powered by Arizona State University®

შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი 0102,
დიმიტრი უზნაძის ქ. N68ბ

LLC EAST- WEST UNIVERSITY
68B Dimitri Uznadze St.,
Tbilisi, 0102, Georgia

www.eastwest.edu.ge
(+995 32) 15 71 72
info@eastwest.edu.ge

პრეზიდენტი ბრძანება № 01-95

ქ. თბილისი 2025 წლის 7 აგვისტო

შპს „აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის“ ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლაში აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2025 წლის 29 ივლისის № 01-90 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლსა და 35-ე მუხლის 1-5 პუნქტების, შპს “აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის“ წესდების 5.2 პუნქტის, შპს „აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის“ პრეზიდენტის 2025 წლის 11 თებერვლის N01-11 ბრძანებით დამტკიცებული შპს „აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის“ დებულებისა და შპს ,,აღმოსავლეთ -დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2025 წლის 11 თებერვლის N01-12 ბრძანებით დამტკიცებული ,,აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის“ საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება შპს „აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის“ ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლაში აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2025 წლის 29 ივლისის № 01-90 ბრძანებაში და:

1.1 ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. გამოცხადდეს ღია კონკურსი 2025 წლის 31 ივლისიდან აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლაში, ინგლისურენოვან პროგრამებში ინგლიურენოვანი სწავლებისთვის სულ 22 (ოცდაორი) საშტატო ერთეულზე:

- **პროფესორი** - 4 (ოთხი) საშტატო ერთეული;
- **ასოცირებული პროფესორი** - 10 (ათი) საშტატო ერთეული;
- **ასისტენტ-პროფესორი** - 8 (რვა) საშტატო ერთეული.

ა) აკადემიური თანამდებობა - პროფესორი:
მიმართულება - მენეჯმენტი და ბიზნესის ადმინისტრირება, 2 (ორი) საშტატო ერთეული;
მიმართულება - ინფორმაციული ტექნოლოგიები, 2 (ორი) საშტატო ერთეული;

ბ) აკადემიური თანამდებობა - ასოცირებული პროფესორი:
მიმართულება - მენეჯმენტი და ბიზნესის ადმინისტრირება, 2 (ორი) საშტატო ერთეული;
მიმართულება - ფინანსები, 2 (ორი) საშტატო ერთეული;
მიმართულება - მარკეტინგი , 1 (ერთი) საშტატო ერთეული;
მიმართულება - ეკონომიკა, 2 (ორი) საშტატო ერთეული;
მიმართულება - ინფორმაციული ტექნოლოგიები 3 (სამი) საშტატო ერთეული;

გ) აკადემიური თანამდებობა - ასისტენტ-პროფესორი:
მიმართულება - მენეჯმენტი და ბიზნესის ადმინისტრირება 3 (სამი) საშტატო ერთეული;
მიმართულება - ფინანსები, 1 (ერთი) საშტატო ერთეული;
მიმათულება - მარკეტინგი, 1 (ერთი) საშტატო ერთეული;
მიმართულება - სტატისტიკა, 1 (ერთი) საშტატო ერთეული;
მიმართლება - ინფორმაციული ტექნოლოგიები 2 (ორი) საშტატო ერთეული.“

1.2 ბრძანების მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ვ) სსიპ - შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ''. კანდიდატის მიერ წინამდებარე დოკუმენტის წარდგენა დასაშვებია არაუგვიანეს გასაუბრების ეტაპის დასრულებისა.“

2. დაევალოს საინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანების შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი ხუროძე,

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტი